



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 1

„03“ 02 2023წ

**დადგენილება № 2**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 იანვრის N617 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ერთ საკონტაქტო საათზე განისაზღვროს 18 ლარის ოდენობით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 01 იანვრიდან განხორციელებულ შრომით ურთიერთობებზე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N7 დადგენილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ახალციხე კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე